

5.

ფაკულტეტი: საზოგადოებრივ მეცნიერებათა

მიმართულება: ჯანდაცვა – 09

Public Healthcare

საბაკალავრო პროგრამა: ფარმაცია

Pharmacy

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფარმაციის ბაკალავრი

Bachelor of Pharmacy

პროგრამის ხელმძღვანელი: ალექსანდრე სხირტლაძე. ფარმაციის დოქტორი, პროფესორი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

ფარმაცია-Pharmacy

მიმართულება

მიმართულება: ჯანდაცვა – 09

ფაკულტეტი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური

პირველი საფეხური, ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი

აკადემიური

სწავლების ენა

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში–60 კრედიტს, სემესტრში–30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს.

პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, რომელიც შედგება ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კომპონენტებისაგან–185 კრედიტი; საუნივერსიტეტო დისციპლინების–30 კრედიტი და თავისუფალი–არჩევითი სასწავლო კომპონენტების კონცენტრაციისაგან 25 კრედიტი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან პირი, რომელიც აკმაყოფილებს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ან მობილობით ჩარიცხვისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებს.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი

პროგრამის კურსდამთავრებული კვალიფიკაციის ფორმირება ხდება მიმართულების მიხედვით:

- ფარმაციის ბაკალავრი– **Bachelor of Pharmacy**

კურსდამთავრებულს კვალიფიკაცია მიენიჭება არანააკლებ 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

პროგრამის მიზანი

ფარმაცია არის ჯანდაცვის ერთ-ერთი დარგი, რომელში დასაქმებულ სპეციალისტებს, თანამედროვე ჯანდაცვა განვითარების ამ ეტაპზე ყოველდღიურად მზარდ მოთხოვნებს უყენებს. აქედან გამომდინარე ჩვენი მიზანია მოვამზადოთ მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი ფარმაცევტები, რომლებიც ფლობენ ფარმაციაში დღევანდელი დღისთვის შესაბამის ცოდნას, ამ ცოდნის მოპოვების, გაღრმავებისა და გამოყენების უნარებს. ამის მისაღწევად საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია დარგში თანამედროვე მიღწევებსა და სტანდარტებზე, რომელიც მოდიფიცირებულია ჩვენი სასწავლებლის კონკრეტული სპეციფიკის გათვალისწინებით, რათა ჩვენს მიერ მომზადებული სპეციალისტი აღჭურვილი იყოს თანამედროვე ცოდნით და ამასთან ერთად ფლობდეს ამ ცოდნის პრაქტიკული რეალიზაციის თანამედროვე ინსტრუმენტებს. გავზარდოთ ფარმაცევტი, რომელიც თავის ყოველდღიურ საქმიანობაში თავისუფლად იმოქმედებს, როგორც საერთაშორისო კონვენციებით გათვალისწინებულ სტანდარტების, ასევე ეროვნულ კანონმდებლობისა და გაიდლაინების გამოყენებით.

ეს გარემოება განაპირობებს პროგრამის მიზანს – შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ სისტემური ცოდნა ფარმაციაში დინამიკურად ცვლად გარემოში მუშაობისა და ორგანიზატორის უნარჩვევები, რათა შეძლონ დარგის სპეციალისტებზე ყოველდღიურად მზარდი მოთხოვნებისადმი ფეხის აწყობა. მოცემული მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი თავის პოტენციალით და შემადგენლობით უზრუნველყოფს დასახული მიზნის წარმატებით შესრულებას.

ცოდნა და გაცნობიერება

- ფარმაცევტული ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის მეთოდების ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. აცნობიერებს ფარმაცევტული სფეროს კომპლექსურ საკითხებს.
- ესმის ფარმაცევტული, ქიმიური, ბიოლოგიური, ბიო-გენეტიკური, ფიზიოლოგიური ძირითადი პრობლემები, რომლებიც საფუძვლად უდევს ჯანმრთელი ორგანიზმის არსებობას. გარკვეულია წამალთფორმების კლასიფიკაციასა და მათ სააფთიაქო ტექნოლოგიაში.
- იცის ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიის საფუძვლები და მათი გამოყენება პრაქტიკაში, გარკვეულია ძირითადი სააფთიაქო წამალთფორმების დამზადების ფარმაცოქიმიის, ანალიზური და ფიზ-კოლოიდური ქიმიის მონაცემების საფუძველზე.
- ადამიანის აგებულების, ბიოლოგიის, ბიოქიმიის ცოდნით მანიპულირება, გააჩნია განსხვავებული დონის (ლაბორატორიებში, საამქროებში, აფთიაქებში) ფარმაცევტული მოვლენების შესახებ სისტემური ცოდნა.
- იცნობს სტატისტიკას და მათემატიკის საფუძვლებს. გააჩნია ბიოეთიკის ნორმების, წესების ცოდნა.
- იცის ლათინური ენა პროფესიული, ფარმაცევტული ტერმინოლოგიით.
- ერკვევა ბიოტრანსფორმაციის პროცესებში-ბიოდინამიკა-ბიოკინეტიკის ცოდნით.
- ფლობს სამედიცინო ქონებით უზრუნველყოფის წესებს. გარკვეულია ჰიგიენის ნორმატივების და პირადი ჰიგიენური საშუალებების წესის დაცვაში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- შეუძლია:**
- ფარმაცევტული სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე გამორჩეული მეთოდების გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მეთოდების გამოყენებით;
 - დამოუკიდებლად აითვისოს ახალი სტატისტიკური პაკეტები.
 - დამოუკიდებელი და ინტენსიური მუშაობა ლიტერატურასთან,
 - მანიპულირება სხვადასხვა დაავადების მედიკამენტების სხვადასხვა ჯგუფების შერჩევით და გამოყენებით.
 - წამალთა ნომენკლატურის ცნობა, სწორი შენახვის, დაწყობის, რეალიზაციის პრინციპები.
 - მუშაობის წესების ფლობა ლაბორატორიებში, ფარმაცევტულ საამქროებში, აფთიაქში.
 - ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიის საფუძვლების გამოყენება პრაქტიკაში.
 - ძირითადი სააფთიაქო წამალთფორმების დამზადება.

დასკვნის უნარი

- შეუძლია:**
- ფარმაცევტული სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება; განყენებული მონაცემების ანალიზი, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
 - მუშაობის დაგეგმვა, განხორციელება და შემდეგი ანგარიშის დაწერა, მონაცემების მოპოვება, ჩაწერა და ანალიზი აფთიაქის, ლაბორატორიული, საამქროს ან საექსპედიციო პირობებში.
 - დაამზადოს, დაამუშაოს, მოახდინოს ინტერპრეტაცია და მოახსენოს/წარადგინოს მონაცემები.

	<ul style="list-style-type: none"> • გააცნობიეროს მუშაობის ეთიკური და მორალური ასპექტები; ამოიცნოს და გააცნობიეროს ჯგუფის სხვა წევრთა აზრი; სხვათა მუშაობის შეფასების უნარი.
კომუნიკაციის უნარი	<ul style="list-style-type: none"> ▪ შეუძლია: ▪ იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება; ▪ ფარმაცევტული და მონათესავე დარგის სპეციალისტებთან კომუნიკაცია, კამათი, საკუთარი პოზიციის გამოხატვა და დაცვა, რეფერატული ხასიათის ნაშრომის პრეზენტაცია, კომპლექსური საკითხის (კითხვის) ჩამოყალიბება, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით, ბიზნესის საინფორმაციო ბაზებისა და პროგრამების გამოყენება, ჯგუფური მუშაობა, მათ შორის ინტერდისციპლინარული ჯგუფის ხელმძღვანელობა; ▪ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო, ბიზნეს-ინფორმატიკის ტექნოლოგიების თავისუფლად გამოყენება, ელექტრონულ დოკუმენტებთან, ცხრილებთან და მონაცემთა ბაზებთან მუშაობა, ინფორმაციული სისტემების ტიპების იდენტიფიცირება.
სწავლის უნარი	<ul style="list-style-type: none"> ▪ შეუძლია: ▪ საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა; ▪ ცოდნის დონის გაღრმავება დამოუკიდებლად, სპეციალური ლიტერატურის გამოყენებით; ▪ თავისი საქმიანობის შეფასება და კრიტიკული გააზრება; ინიციატივის გამოჩენა; ▪ დამოუკიდებელი მუშაობა მინიმალური ხელმძღვანელობის, კოლეგიალური დახმარების პირობებში, წინასწარ მიღებული კონსულტაციების შესაბამისად.
ღირებულებები	<ul style="list-style-type: none"> ▪ შეუძლია: ▪ ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა; ▪ კოლეგების დამოკიდებულების და პასუხისმგებლობის პროფესიულ ღირებულებებთან შეფასება.

სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები	
<p>სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები/ ხერხები, როგორებიცაა სალექციო მეთოდი, წერიტი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ევრისტიკული, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვ კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.</p>	
სალექციო მეთოდი	<p>ლექცია წარმოადგენს შესასწავლი თემის შესახებ სისტემატიზებული ცოდნის, კონცეფციებისა და თეორიების მომცველი</p>

	ინფორმაციის სტუდენტური აუდიტორიისათვის სიტყვიერი გადაცემის ეფექტურ მეთოდს.
დისკუსია/დებატები	დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
ჯგუფური მუშაობა	ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
მუშაობა მცირე ჯგუფებში	მცირე ჯგუფებში მუშაობა საკმაოდ ცნობილი მეთოდია, რომელიც მონაწილეებს აძლევს საშუალებას, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ჯგუფის მუშაობასა და საერთო აზრის ჩამოყალიბებაში, ისწავლონ ერთმანეთის მოსმენა, თანამშრომლობა და ურთიერთშეთანხმება. მცირე ჯგუფებში მუშაობისას მორცხვ მონაწილეებსაც კი უადვილდებათ აზრის გამოხატვა. ამ მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია იმ პრობლემის გადასაჭრელად, რომლის გადაწყვეტაც დამოუკიდებლად ვერ ხერხდება.
წიგნზე მუშაობა	შესაძლებელია ხორციელდებოდეს მასწავლებლის მეთვალყურეობით ან დამოუკიდებლად. არსებობს წიგნზე მუშაობის სხვადასხვა ხერხები: კონსპექტირება, ტექსტის გეგმის შედგენა, ტესტირება, ციტირება, ანოტაცია, რეცენზია, ცნობის შედგენა, ფორმალურ-ლოგიკური მოდელის შედგენა.
ლოგიკური ჯაჭვი (მოსაზრება, მიზეზი, მაგალითი, შეჯამება)	ლოგიკური ჯაჭვის მეთოდი გამოიყენება დისკუსიის ან პრობლემებზე მსჯელობისას, როცა არსებობს განსხვავებული პოზიციები. ეს მეთოდი ხელს უწყობს მონაწილეებს მიეჩვიონ მოსაზრებათა არგუმენტირებას და მათ მოკლედ, ლაკონიურად წარმოჩენას.
მოზაიკა	ეს მეთოდი საშუალებას აძლევს მონაწილეებს დროის მცირე მონაკვეთში მიიღონ დიდი მოცულობის ინფორმაცია და, გარკვეული თვალსაზრისით, წარმატებით ცვლის ცოდნის გადაცემის სალექციო ფორმას. ამ მეთოდის საშუალებით მონაწილეები ასწავლიან ერთმანეთს. ურთიერთსწავლება – ეს ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა საგნის შესახებ ინფორმაციის მიღების და ისეთი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენებისა, როგორცაა რთული მასალის ახსნა, შეკითხვების დასმა, მოსმენა, ურთიერთობა და სხვა.
დაიკავეთ პოზიცია	მოცემული მეთოდი გამოიყენება სადისკუსიო თემის განხილვის დროს. სადისკუსიო პრობლემა გულისხმობს

	<p>კანონიერი საფუძვლის მქონე ორ ან მეტ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებას, რომლებიც არ არსებობს ზუსტი პასუხი. ეს მეთოდი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სავარჯიშოს სახით ლექციას დასაწყისში, რაც საშუალებას მისცემს მსმენელებს, გამოთქვან საკუთარი აზრი შესასწავლ თემასთან დაკავშირებით და პრაქტიკაში გამოიყენონ ახალი უნარ-ჩვევები. ეს მეთოდი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს სემინარის ბოლოსაც მსმენელთა ცოდნის შეფასების მიზნით.</p>
<p>ლაბორატორიული</p>	<p>გულისხმობს დავალების კეთებით ("learning through doing") სწავლებას, რაც ხორციელდება განსაკუთრებულ გარემოში - ლაბორატორიაში, და უზრუნველყოფს თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირის კონცეპტუალურად გააზრების შესაძლებლობას.</p>
<p>სემინარი</p>	<p>სემინარზე-ისმენს მოხსენებას, ერთვება დისკუსიაში, გამოაქვს დასკვნები. ხელმძღვანელი მიზანმიმართულად წარმართავს და კოორდინაციას უწევს ამ პროცესებს;</p>
<p>პრაქტიკული</p>	<p>პრაქტიკულ მეცადინეობაზე - ხდება თორიული მასალის გაღრმავება კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის გზით და შესაბამისად დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება.</p>
<p>პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)</p>	<p>პრობლემის გადაჭრა _ მოქალაქეობრივი აქტივობის ერთ-ერთი ძირითადი სახეა. ამ მეთოდით სწავლების შედეგად მონაწილეებს ეცოდინებათ, რა სისტემა გამოიყენება ზოგადად პრობლემის გადასაჭრელად. სწავლების ეს მეთოდიკა ავითარებს ისეთ უნარ-ჩვევებს, როგორცაა: მოსმენის კულტურა, იდეების გაცვლა და სხვა პირთა უფლებების პატივისცემა.</p>
<p>თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება</p>	<p>იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.</p>
<p>ევრისტიკული</p>	<p>ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.</p>
<p>შემთხვევის ანალიზი (Case study)</p>	<p>პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.</p>
<p>გონებრივი იერიში (Brain storming)</p>	<p>ეს მეთოდი საკმაოდ ფართოდ და ხშირად გამოიყენება, ვინაიდან სასწავლო პროგრამაში მონაწილეებს საშუალება ეძლევათ, მონაწილეობა მიიღონ ჯგუფის მუშაობაში, შემოქმედებითად მიუდგნენ საკითხს, თავისუფლად გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, იდეები წამოყენებულ საკითხთან ან პრობლემასთან დაკავშირებით.</p>

	<p>„გონებრივი იერიშის“ მეთოდის გამოყენების წესები:</p> <p>ა. მოსაზრებათა გამოთქმის პროცესში თავიდან აცილება ხდება შეფასებითი გამონათქვამების (ლექტორის მიერ პასუხების შეფასების შემთხვევაში მონაწილეები თავს შეიკავებენ ახალი იდეების გამოთქმისაგან);</p> <p>ბ. ამ მეთოდით შესაძლებელი ხდება რაც შეიძლება მეტი პასუხის მიღება (აზრის გამოთქმისაგან თავის შეკავება იმის მაჩვენებელია, რომ მონაწილეები ანალიზებენ პასუხს და შიშობენ, მათი აზრი სულელურად არ იქნეს აღქმული. ბევრი მოსაზრების არსებობის შემთხვევაში კი მონაწილეები თავისუფლად და ყოველგვარი კომპლექსის გარეშე გამოთქვამენ ახალ იდეებს) რაც ხელს უწყობს აუდიტორიის ჩართულობის გაზრდას;</p>
<p>როლური და სიტუაციური თამაშები</p>	<p>როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.</p>
<p>დემონსტრირება</p>	<p>ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩინს საკითხის/პრობლემის არსს.</p>
<p>ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი</p>	<ul style="list-style-type: none"> • სწავლების <i>ინდუქციური</i> მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ. • სწავლების <i>დედუქციური</i> მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. • სასწავლო პროცესში <i>ანალიზის</i> მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება. • <i>სინთეზის</i> მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.
<p>ახსნა-განმარტებითი</p>	<p>ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.</p>
<p>ქმედებაზე</p>	<p>მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ</p>

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- შუალედურ შეფასებებს;
- დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერილი (ტესტი ღია და დახურული კითხვებით, ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაცია, ქვიზი, ესსე და ა.შ) სახით.

შეფასების წესი, ფორმები, კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრება სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

პროგრამის განხორციელებისას და სასწავლო კურსის სწავლებისას სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

განვლილი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული საკითხების ათვისება უნივერსიტეტში ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული შეფასების მეთოდების წილისგან შედგება. კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალური შეფასებაა 51 ქულა.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფერო

კურსდამთავრებულს უფლება ექნება იმუშაოს ნებისმიერი ტიპის ფარმაცევტულ დაწესებულებაში რიგით ფარმაცევტად, იქნება ეს აფთიაქი, ფარმაცევტული ბაზა, სააფთიაქო ლაბორატორია, ფარმაცევტული საწარმო და სხვა. ამ მიმართულებით დასაქმების პერსპექტივა შეეხება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ფარმაცევტულ საწარმოებს.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ფარმაციის ან ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები; ბიოლოგიური და ქიმიური ლაბორატორიები, სააფთიაქო კაბინეტი, კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, სათანადო ინვენტარითა და წიგნადი ფონდით აღჭურვილი ბიბლიოთეკა; კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა.